ბრძანება

N 658
13/09/2017

შპს „ნექსია თიეი“- სთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 12 დეკემბრის N252 ბრძანებით შპს „ნექსია თიეი“ (ს/ნ 405040682) დარეგისტრირდა აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში (SARAS-F-550338).

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში კანონი) მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში ასახული უნდა იყოს ინფორმაცია იმ აუდიტორის/სერტიფიცირებული ბუღალტრის სახელი, გვარი და სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც აუდიტორულ ფირმაშია დასაქმებული.

კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია რეესტრში ასახული ნებისმიერი ინფორმაციის ცვლილების შესახებ შეატყობინოს სამსახურსა და პროფესიულ ორგანიზაციას ცვლილების შეტანიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. ამავე კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ამ კანონის IV თავით (რეესტრი) გათვალისწინებულ სარეგისტრაციო წარმოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმებას ან საქმიანობის უფლების აკრძალვას ან/და პირის დაჯარიმებას 1 000 ლარამდე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით სამსახური დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებად მიიჩნევს, რომ გელა მღებრიშვილი შპს „ნექსია თიეი“-ში დასაქმდა 2017 წლის პირველი მარტიდან. კანონით გათვალისწინებული 5 სამუშაო დღის ვადა აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული აუდიტორის შესახებ ინფორმაციის სამსახურისთვის შეტყობინების ამოიწურა 2017 წლის 9 მარტს. ხოლო, შპს „ნექსია თიეი“-ს მიერ სამსახურისათვის ინფორმაცია წარდგენილია 2017 წლის 19, 28 ივნისსა და 21 აგვისტოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული აუდიტორის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში ასახულ ინფორმაციას, ხოლო მასში რაიმე სახის ცვლილების შემთხვევაში აუდიტორულ ფირმას ჰქონდა ვალდებულება არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა

შეეტყობინებინა სამსახურისთვის. კანონის ამ მოთხოვნის დარღვევა იწვევს აუდიტორული ფირმის პასუხისმგებლობას.

,,ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-10 პუნქტის, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ნექსია თიეი“ დაჯარიმდეს 200 ლარით.
2. ჯარიმის გადახდა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: სახაზინო კოდი/ანგარიშის ნომერი 302003550;
3. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ამ ბრძანების სამსახურის ვებგვერდზე 5 წლის ვადით გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
4. გადაწყვეტილება გაეგზავნოს შპს „ნექსია თიეი“-ს ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6);

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური